აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 2

30 დეკემბერი 2013 წელი **ქ. ბათუმი**

უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატში კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების წესის და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის, „საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 5 თებერვლის N46 ბრძანებულებისა და „საჯარო მოხელეთა ატესტაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 5 თებერვლის N47 ბრძანებულების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1. დამტკიცდეს „უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატში კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების წესი და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულება“ დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 30 მარტის N2/2006 დადგენილება - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის მოხელეთა შესარჩევი კონკურსის წესისა და საკონკურსო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“, (გაზეთი „აჭარა“ №59. 2006 წელი).

მუხლი 3. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 4. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე **არჩილ მიქელაძე**

კომისიის მდივანი **ქეთევან ჯიქია**